საქართველოს მთავრობის განკარგულება

№787 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის დაწყებიდან საიუბილეო მე-20 წლის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის 16 მაისს დაგეგმილი მაღალი რანგის ღონისძიების ორგანიზების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის დაწყებიდან საიუბილეო მე-20 წლის აღსანიშნავად, მიმდინარე წლის 16 მაისს ქ. თბილისში დაგეგმილი მაღალი რანგის ღონისძიების ორგანიზების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება/დაფინანსება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" განახორციელოს ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**